KA021711992912016

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY

ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქ 4

N12/54787

24 / ოქტომბერი / 2016 წ.

სსიპ ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლას

თქვენი 2016 წლის 11 ოქტომბრის №MES 31601215576 (რეგ:№84225/04; 18.10.2016) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრი თანახმაა სსიპ ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ უძრავ ქონებაში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №27.06.56.099) მდებარე: 20 კვ.მ ფართი - ლიდერთა სკოლის ფუნქციონირების მიზნით არაუმეტეს 1 (ერთი) წლის ვადით აუქციონის საფუძველზე გაცემა განახორციელოთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იმ ვალდებულებებით, რაც თქვენს ზემოაღნიშნულ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 28 სექტემბრის №MES31601154510 წერილებში არის მითითებული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში გაუქმებულ უნდა იქნეს საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ აუცილებელ პირობას. ამასთანავე, საიჯარო ქირა უნდა განისაზღვროს საბაზრო ფასებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, იჯარით გასაცემ ფართებზე კომუნალური გადასახადები გადახდილ უნდა იქნეს მოიჯარის მიერ.

ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში სსიპ ქალაქ ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის უფროსი

გოჩა კანკავა